

საერთო გაზეთი

№8 (466) • 7 მარტი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი



მამუკა ბახტაძე - კაცი მოგავლიდან

საგადასახადო ცვლილებები, რაც მამუკა ბახტაძემ ფინანსთა მინისტრის რანგში შემოგვთავაზა, ფაქტობრივად, ეს არის რევოლუციური ცვლილებები, რაც აუცილებლად სასიკეთოდ წაადგება ქართული ეკონომიკის განვითარებას და ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



ტატუნაშვილის სიკვდილი მათ კისერზეა, ვინც თავის დროზე ანწუხელიძის მკვლელები ცოცხალი დატოვა...

ელიზბარ ჯაველიძე: თქვე დაღათმავლებო და მამათმავლებო, თქვენისთანა ბილნებს და უზნეოებს, ჩემი შებინება გაგიკვირდით?



ამ ქალზე საუბარს არ პაპირებ, არ მიწდა ხალხს ის თაფზარდამ-ცემი ფაქტები ვამცნო, რაც ჩემთვისაა ცნობილი.



ლავა ბუღალავ, შე ნახვის ტოგარავ, სხვებს რომ აფურთხებ, დანსვი გვერდით მამაშენი და რამდენიც ბინდით იმდენი აფურთხეთ ერთმანეთს.



სოროსი განდევნეს რუსეთი-დან, ინგლისიდან, საფრან-გეთიდან, ამერიკიდან, ღლუს, სოროსის კალვები მხოლოდ საქართველოში არიან გაბატონებული.



რატომ გაახსენდით

ვილაც-ვილაცებს გიორგი სანაიას მკვლელობის 17 წლის წინანდელი საქმე მაინცდამაინც საპრეზიდენტო არჩევნების წინ?!

მერწმუნეთ, დღეს მევახშეობაში მთლიანად აღურიცხავი „შავი ფული“ ტრიალებს, რომლის წარმომავლობაც არავინ იცის...



კ
ა
ე
ა
ნ
ა
ვ
ა
ნ
ს



8 მარტს ბილოსავთი, კალბატონეზო, ანუ ძირს მარგველაშვილი, გაუმარჯოს წულუკიანს!

„საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაფრთხნა გკითხვარსთვის

ოთხოზორიას და ჭაბუნაშვილის სიკვდილი მათ კისერზეა, ვინც თავის დროზე ანუხელიძის გავლელი სოსხალი დაბოვა...

ერთი ბარტყი გადმოვიბღე, თორემ!..

27 თებერვალს ტელეჟურნალისტმა გოგონამ შემაჩერა რუსთაველზე და პროვოკაციულად მკითხა: საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ხელისუფლების რეაქცია არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობაზე და რა უნდა გააკეთოსო ხელისუფლებამ?..

იგივე კითხვა დასვეს ამ არხის ჟურნალისტებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იმავე საღამოს ამ ინტერვიუების ნაწილი აჩვენეს თავიანთი ოპოზიციური ტელევიზიით.

მიღებული პასუხები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ.

პირველი: უმრავლესობის აზრით, არც საქართველოს ხელისუფლებას, არც ჩვენ (ხალხს) არავინ, არაფერს არ გვეკითხავს და პასუხი კითხვებზე უნდა გასცენ მათ, ვინც დახმარებას დაგვიპირდა, ვისაც ჩვენი პატრონობის პრეტენზია გააჩნიათ... იგულისხმება ორი დაპირისპირებული მხარე: რუსეთი და ამერიკა...

(ვითომ მათ და მათნაირებს ერთი ომი მაინც რუსეთისთვის გამოცხადებული ჰქონდათ უკვე და ომის, ბრძოლის სურვილი უკვე გამოლევდათ...)

რეალურად, ეს პასუხი მოზოდიშებას უფრო ჰგავდა, ვითომც, ჩვენ წინააღმდეგ ვაჯაკებთ, კაცები ვიყავით, ბრძოლის უნარი, სურვილი და შრომა გვქონდა, მაგრამ დღეს, უბრალოდ, სხვა დროაო...)

მე იმედი დავიტოვე, რომ რესპონდენტთა ნაწილი ამ კითხვებზე პასუხს უფრო კონკრეტულად, უფრო დამაჯერებლად გასცემდა, სადაც არც საკუთარ პასუხისმგებლობას დაივიწყებდა და არც მთავრობისას, ჩვენი ქვეყნის მიმართ. რადგანაც, დღევანდელი მთავრობა, ვისაც რაღაც უნდა გაეკეთებინათ, არ ან ვერ გააკეთეს და კონსპირატენტი ჩვენ გვეკითხება, რას იზამდი იქ შენ, მთავრობის მაგივრად რომ აგვეჩივიო?! კორესპონდენტი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენისთანა უბირი ხალხისგან


დაცემამ „არჩევანმა“ არ გამოაჩინა.

ისე კი... დღევანდელი ოპოზიცია ხომ იყო ოდესღაც მთავრობა?

მე მათ გასაგონად მინდა ვთქვა, წინა მთავრობების გასაგონად. რატომ მაშინ არ გააკეთეთ გასაკეთებელი, როდესაც ჩვენი „რიგითი“ გმირი ანუხელიძე აწამეს, რაც ასიათასობით ადამიანმა ვიდრეოთი ნახა და რაა მერე?..

ღირსების მქონე მთავრობა შესანიშნავად გამოარჩევდა წამების ამსახველ ვიდრეოთი მწამებლებს, რადგან სწრაფად დაადგენდა მათ სახელსა და გვარებს და შემდგომ მათ ან ჩამოიყვანდა თბილისში და აქ გაასამართლებდა, ან იქვე სათითაოდ ჩააძაღლებდა!... ისე, რომ არც კი დატოვებდა კვალს. ანუხელიძის მწველებლები საკუთარმა მეზობელმა, თანამოქმედმა მოკლა, თუ ბრმა ტყვემ იმსხვერპლა, ან ავტოავარიამი გარდაიცვალა.

ასე მოხდებოდა რამდენჯერმე და



ამაზრზენი, გულისამრევი პასუხია, რაც მხოლოდ ერთს ნიშნავს: რომ გამოკითხულთა უმრავლესობას სახელმწიფოებრივი შეგრძნება დაკარგული აქვს!!!

რესპონდენტები ღიად ამბობდნენ და თავიანთ ნათქვამს სხვადასხვა ლოგიკური დასკვნებით ამაგრებდნენ:

აბა, ამის გამო ხელახლა ომს ხომ არ დავუწყებთ ამხელა რუსეთსო!..

მზა პასუხს მიიღებდა, მთავრობის დასახმარებლად, რასაკვირველია, მაგრამ, ვუძუხთოლეთ...

ვუძუხთოლეთ იმიტომ, რომ, განა ჩვენ არ ავირჩიეთ დღევანდელი მთავრობა, ხომ შესანიშნავად ვიცოდით, ამ მთავრობაში ვინ რისი გამკეთებელი იყო?..

რაც ვერაი, ის ბერიო...

მე უფრო იმ რესპონდენტების იმედი მაქვს, ვინც ოპოზიციურმა გა-

ოთხოზორიას მკვლელი ათასჯერ დაფიქრდებოდა, სანამ იარაღს ქართველი ძალოსნების გარემოცვაში შემართავდა.

ოთხოზორიას და ტატუნაშვილის სიკვდილი იმათ კისერზეა, ვინც თავის დროზე ანუხელიძის მკვლელები ცოცხალი დატოვა! და ზვალ შეიძლება მთელი ჯგუფი ქართველ პატრიოტთა ჯგუფი მტერმა სამეზავრო ავტობუსით წაიყვანოს, ჩვენს თვალწინ აწამოს, ჩვენი წაყრუებით არდანახვითა და არგადიზიანებით გათამამებულმა გააუპატიუროს და ქათმებივით დასჭრას ყელი...

აი, ეს ვთქვი ამ ოპოზიციურ ტელეარხზე ინტერვიუში და მხოლოდ და მხოლოდ ორი სიტყვა დამიტოვეს ეთერში: მთავრობა უსუსურად, ღირსებააყრილი, საწყალობლად ვიქცევით-მეთქი. ამით დავიწყე და ჩემი სიტყვის დასასრულსაც დრეს კითხულობთ.

მისო მორჩილაძე მწერალი

P.S. მე მაინც იმათი იმედითა ვარ, ვინც „არჩევანმა“ არ გაუშვა ეთერში...



მაიისა ჯაფარაშვილი:

გერმანიის, დღეს მკვლევარები მთლიანად აღუჩინებენ „შავი ფული“ ტრიკებს, რომლის ნარკომაფლობას არაპირი იცის...

„ვასწავლიან, რომ ყელამდე ჭაობში ვართ ჩაფლული, მაგრამ ვერ ვხვდები, როდის გავხდით ასეთი კასიჭაიები?“

გაეროს ჯინის ინდექსის (კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი) მიხედვით, სოციალური უთანასწორობის მხრივ, საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ლიდერია და ევროპულ დონეს 2-ჯერ აღემატება. ბოლო მონაცემებით, სომხეთსა და აზერბაიჯანში საქართველოზე უკეთესი მდგომარეობაა, რადგან მათ მეტი მდიდარი და ნაკლები ღარიბი მოქალაქე ჰყავთ. საქართველოში მცხოვრები ყველაზე მდიდარი ადამიანების შემოსავლები ყველაზე ღარიბის შემოსავლებს 17-18-ჯერ აღემატება. მხოლოდ ფულადი შემოსავლებით კი ეს მაჩვენებელი შესაძლოა, 28-მდეც კი ავიდეს. შემოსავლების არათანაბარი გადანაწილების გამო, ადამიანების უდიდესი ნაწილი შემოსავლების მხრივ, საშუალო

ხდება ამ თანხისთვის მიმართულების შეცვლა და „თითიდან გამოწოვილი თემებით“ მოვაჭრე არასამთავრობო ორგანიზაციებს და მეკანსებს ხმარდება. ასე, რომ ყველაფერს დასავლეთს ვერ დავაბრალავთ...
- უფრო გასაგებად აგვიხსენით, როგორ ხდება ქართველი ხალხის დახმარებისთვის გამიზნული თანხა მეკანსების ხელში?
- კონკრეტულ მაგალითს გეტყვით... 2008 წელს ამერიკაში იპოთეკური კრიზისის გამო, ორი უდიდესი ბანკის ნაციონალიზაცია მოხდა. აქედან გამომდინარე, გარკვეული ადამიანების ხელში დიდი რაოდენობის „შავი ფული“ მოხვდა. ჯერჯერობით, სახელისა და გვარის გამხელისგან თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ კონკრეტული ადამიან-

ბას აქვს შანსი, რომ ეს სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოთხოვოს, რომ საკუთარი ფულის ხარჯვა აკონტროლონ და მკვიდრ მოსახლეობას მიაქციონ ყურადღება. მხოლოდ ჩვენზე და მოკიდებული, რამდენად შევძლებთ ამ სიტუაციის გამოყენებას, თუმცა ყველაზე ცუდია, რომ რომ ასეთ გარიგებებში სახელისუფლებო რგოლების ცალკეული წარმომადგენლებიც არიან ჩართულები.
- დაგვიკონკრეტეთ, რომელ რგოლებს გულისხმობთ?
- ალბათ იცით, რომ ქვეყანაში მოქმედებს უამრავი პროგრამა: სოფლის მეურნეობისა თუ მეცხოველეობის განვითარების, დასაქმების და ა.შ. მაგრამ ვერც განვითარებულ სოფლის მეურნეობას ვხედავთ და ვერც დასაქმებულ



- რამდენიც გინდათ.. 6 მარტს სოხუმიდან დევნილი მოქალაქე გ-ია ნორიოში მცხოვრებ ოჯახს ასახლებს. სამი წელია, ეს დავა გრძელდება. ნორიოში მცხოვრებ ოჯახს გ-იასგან 12000 დოლარი ჰქონდა ნასესხები. ოჯახმა მეკანსებს 4000 დოლარამდე პროცენტების სახით გადაუხადა და თხოვა, ერთად ვერ მოგვცემ და ნაწილ ნაწილ, 3000 დოლარობით დაგიფარავო. მეკანსე არაფრით დათანხმდა და დღეს 12000 დოლარის სანაცვლოდ, 35000 დოლარს ითხოვს. მსესხებელი ისეთ მდგომარეობაშია, რომ გამუდმებით თავის მოკვლაზე ფიქრობს და ახლოდღეობის მართლ არ ტოვებენ. აი, ამას აკეთებს დევნილი, რომელმაც მშენიანება იცის, რა არის უსახლკაროდ დარჩენა.. მეორე დევნილმა მეკანსემ ხ-მემ გორში მცხოვრებ ოჯახს 5000 დოლარი ასესხა და სანაცვლოდ, 25000 მოითხოვა. რომელი ერთი დაგისახელოთ? ბევრი დევნილი ვიცი, დაუნდობელ მეკანსედ რომ ჩამოყალიბდა და ათობით ოჯახი გამოასახლა. ვაცნობიერებ, რომ ყველაზე ჭაობში ვართ ჩაფლული, მაგრამ ვერ ვხვდები, როდის გავხდით ასეთი კაციჭაიები? ეს ხომ არც დასავლეთის ბრალია, არც აღმოსავლეთის, არც ხელისუფლების და არაფრის ჩვენს გარდა? ასეთი მეკანსეები ხალხის დასახლად, ეკლესიაში ლოცულობენ და მერე წვრილმულიან ოჯახებს ქუჩაში მიერეკებენ. მაინტერესებს, სანთლით ხელში რომ დგანან, რას ფიქრობენ და რას ინანიებენ? იმდენ და ისეთ საშინელებას ვხედავ, რომ შეიძლება თავი ვეღარ შევიკავო და აღდგომა დღეს სვეტიცხოველში მეგაფონით ვიფვირო, ფარისეველებო გაეთრიეთ გარეთ თქო.
ათწლეულებია გრძელდება და უკვე შევგუფო, რომ დედები, ცოლები და დები უცხოეთში მოახლეობდნენ და გაუშვით, რომ ქმრებმა ახალი აიფონები დიჭირონ, ახალ მანქანებში ჩასხდნენ, ახალი საყვარლები გაიჩინონ და სუფრასთან საქართველოზე და ქართვე-

ლობაზე რიხიანად ილაპარაკონ. ამიტომ მართლ გარე მტერს ნუ ვეძებთ, ცოტა საკუთარ თავსაც მოვკითხოთ რა არის ჩვენთვის ქართველობა, ჩვენი გენეტიკური კოდი და ჩვენი მორალი?
- თუ საქართველოში მეკანსეობა ყვეგის და ამ საქმეში სამთავრობო თუ არსამთავრობო სტრუქტურები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვიღაცისთვის მასიური უმუშევრობა და გადატაკებული ოჯახები მომგებიანაც კია, რადგან ეკონომიურად წელგამართულ ადამიანს არც ბანკის და არც მეკანსეების ფული არ ჭირდება..
- დიახ, ასეა. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ყველანაირი ღირის და ქათმის გრიბი ხელოვნური იყო და ვიღაცის ინტერესებში შედიოდა. გლეხს ქათმები და ღორები გაუწყვიტეს, რომ ბრახილიდან შემოტანილი ბარკლები ძვირად გაეყიდათ. მეტსაც გეტყვით, დარწმუნებული ვარ, ფაროსანაც რომელიღაც ბოროტი ძალის მიერ არის შემოყვანილი. ცხადია, დასავლეთ საქართველოს ძალიან გაუჭირდა, იმიტომ, რომ ბევრ რაიონში თხილი ერთადერთი შემოსავალი იყო. დღეს თხილზე დამოკიდებული ხალხი ფაქტობრივად, გაკოტრდა. მოგეხსენებათ, ფშავ-ხევსურეთი, მთა თუშეთი და საქართველოს უამრავი რეგიონი მოსახლეობისგან დაცილებია. ამ ფონზე, დასავლეთ საქართველოში ნებისმიერ სხვა რაიონზე მეტად არის შემორჩენილი მოსახლეობა. თუ ასე გაგრძელდა, ეს რეგიონიც დაიცლება მოსახლეობისგან.
- თბილისში განხორციელებული ხანძრები, ბაზრობების და საფაჭრო ცენტრების გადაწვა ხელოვნურია?
- სამწუხაროდ, საქართველოში ბიზნესი წესების გარეშე ვითარდება. მასსოვს რამდენიმე თვის წინ ბოლოს დამწვარი ბაზრობა „თერგის“ ერთ-ერთმა მოვაჭრემ მითხრა, დირექტორს ბაზრობის გაყიდვა უნდა და თავიდან რომ მოგ-



დონესაც ვერ აღწევს. მოსახლეობის 21% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს, ყოველი მეხუთე ადამიანი კი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. რა შიდა თუ გარე ფაქტორებმა გამოიწვია მოსახლეობის მასობრივად გადატაკება, როგორ ხდება მეკანსეობით „ფულის გათეთრება“ და რომელი სახელმწიფო სტრუქტურები არიან ამას ჩართული? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ „უსამართლობის მსხვერპლთა დაცვის სახალხო კომიტეტის“ ხელმძღვანელი და „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი მაიისა ჯაფარაშვილი ესაუბრა:
- ყველას გვახსოვს, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, ქართველი ხალხის დასახმარებლად, საქართველოში უზარმაზარი ფულის ნაკადები შემოვიდა, თუმცა ადრესატამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაღწია. ისიც ვიცი, რომ ათასნაირი გრანტების სახით, საქართველოში დღესაც დიდი ფული შემოდის, თუმცა, ადგილზე

ნისგან მივიღე შეთავაზება, რომ გარკვეული რაოდენობის ფული მეკანსეობაში „გამეთურებინა“ და მიღებული სარგებელი გაგვენაწილებინა. რა თქმა უნდა, მე მაშინვე უარით ვუპასუხე, მაგრამ ვიღაც სხვა დათანხმდა.. ძალიან ბევრია ბანკებიდან 0,5 პროცენტად გასული ფული, რომელიც უზარმაზარ პროცენტებში სესხდება. მერწმუნეთ, დღეს ქართულ მეკანსეობაში მთლიანად აღურიცხავი, „შავი ფული“ ტრილებს, რომლის წარმომავლობა არაფერია. წესით, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, საიდან აქვს მეკანსე, რომელსაც 200 სახლი აქვს იპოთეკით დატვირთული, ამხელა თანხა და გაარკვიოს ამ ფულის წარმომავლობა, მაგრამ ამას არ აკეთებს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ისევ ფულის გამოძგზგანები დაინტერესდებიან, სად მიდის გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად თუ საშუალო ადგილების შესაქმნელად გამოგზავნილი ფული. საქართველოს მოსახლეო-

ადამიანებს. ეს იმიტომ ხდება, რომ პროგრამისთვის გამოყოფილი ფული სხვა მიმართულებით იხარჯება. მაგალითად, ვიღაც ვითომ მეცხვარეს მეცხვარეობის განვითარებისთვის გარკვეული თანხას გადასცემენ, მაგრამ არაერთი ცხვარი და საქონელი... ეს ფული მეცხვარესთან შეთანხმებით, პირდაპირ გაპროცენტებისთვისაა გამიზნული.
ფულის „გასათეთრებლად“, უამრავი სქემა შემუშავებული. თქვენი აზრით, შემთხვევითია, რომ ზოგიერთი დევნილი სოლიდურ მეკანსედ ჩამოყალიბდა და ოჯახის ყველა წევრისთვის ცალ-ცალკე სახლი მიიღო, როცა უამრავ დევნილს ერთი სახლიც არ გაჩნდა? განსაკუთრებით საწყენია, რომ ადამიანები, რომლებსაც უსახლკაროდ დარჩენის სიმწარე გამოცდილი აქვთ, დღეს აგრესორის როლში თავად გვევლინებიან და ადამიანებს ქუჩაში ყრიან.
- შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითები დაგვისახელოთ?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი თვის წინათ დაწყებულ საგადასახადო რეფორმას მსოფლიო საფონდო ბირჟებზე უმაღლეს რყევები მოჰყვა, რომელიც ექსპერტებმა დამანგრეველ მიწისძვრას შეადარეს. გასულ კვირას კიდევ ერთი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო დონალდ ტრამპმა. მის მიერ შემუშავებული კანონით, აშშ-ში იზრდება საბაჟო გადასახადი ალუმინისა და ფოლადის იმპორტზე. ტრამპის გადაწყვეტილებამ ერთბაშად გააოცა და შეაშფოთა მძიმე მრეწველობის მუშაკები.

ექსპერტებმა ფოლადისა და ალუმინის იმპორტზე გადასახადის გაზრდა „სავაჭრო ომად“ მონათლეს. ახალი კანონით ერთბაშად რამდენიმე ქვეყანა დაზარალდება — ჩინეთი, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები, სადაც მეტალურგიაა განვითარებული. რეაქციებმაც არ დააყოვნეს. კანადელების განცხადებით, იმპორტზე ფასის გაზრდა აშშ-საც ისევე

ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ აშშ-ის ევროპელმა მოკავშირე ქვეყნებმა შეიძლება უარი თქვან ამერიკული იარაღის შექმნაზე. სამხედრო შეიარაღებიდან მიღებული თანხა, ამერიკელი მიმოხილველების განცხადებით, გათვალისწინებულია მათი ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად.

ექსპერტების აზრი ერთია, მაგრამ გაამართლებს თუ არა ტრამპის ახალი გადაწყვეტილება, გაზარდოს გადასახადი იმპორტზე, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა მისი სათავეში ყოფნის პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად, აშშ-ის ეკონომიკა რომ გაიზარდა, ყველა აღიარებს.

არაფერი უნდა ყოფილიყო. თუმცა პუტინის გამოსვლა სიურპრიზებით აღმოჩნდა დატვირთული. თავისი გამოსვლისას მან განაცხადა: „...ადრე არავინ გვისმენდა, ახლა მოგვისმინეთ...“ ამის შემდეგ მან, ფაქტობრივად, გაასაჯაროვა საკუთარი ქვეყნის შეიარაღება. დამსწრე საზოგადოებას პუტინმა წარუდგინა და ეკრანზე აჩვენა ის სამხედრო ტექნიკა, რომელიც მის გამოსვლამდე გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ ირიცხებოდა. ამ გარემოებამ გააოცა არა მარტო მაყურებელი, არამედ თავად რუსი მაღალი თანამდებობის პირებიც. სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებისას პუტინმა ისიც



ვლადიმერ პუტინი: ადრე არავინ გვისმენდა, ახლა მოგვისმენენ!



დაზარალდება, როგორც კანადას. არ გამოიცილებენ, რომ უახლოეს მეზობელს უპასუხოდ არ დატოვებენ და სათანადო ზომებს მიიღებენ. არანაკლებ შემფოთებულია ევროკავშირიც. ორგანიზაციის ერთ-ერთმა მთავარმა ჩინოვიკმა შან-პლოდ იუნპინგმა განაცხადა: „...იმპორტზე გაზრდილი გადასახადი დაზარალებს ჩვენს მწარმოებლებს. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, ათასობით ადამიანი დაკარგოს სამსახური. ამიტომაც ჩვენც იძულებული ვიქნებით, გავამკაცროთ კანონი ამერიკული ნაწარმის მიმართ“.

ერთ-ერთ უდიდეს იმპორტიორს, ჩინეთს ამერიკელებისთვის ჯერ არ უპასუხია, ტრადიციულად მოთმინებით ელოდებიან მოვლენების განვითარებას.

„სავაჭრო ომს“ თავად დონალდ ტრამპი დადებითად აფასებს. მისი განცხადებით, ამით გაიზრდება კონკურენცია, როგორც ამერიკის, ასევე მსოფლიო ბაზარზე. ტრამპს ექსპერტები არ ეთანხმებიან. მათი განცხადებით, საბაჟო ტარიფის გაზრდა, პირველ რიგში, აშშ-ის მოკავშირეებს დაზარალებს და არა ჩინეთს, ქვეყანას, რომლის წინააღმდეგაც იყო გათვალისწინებული იმპორტზე ფასის გაზრდა, ფაქტობრივად კი, ეკონომიკური სანქციები.

დონალდ ტრამპი კი თავის მხრივ კვლავ აოცებს მსოფლიოს თავისი არაორდინარული გამონათქვამებით. თებერვალში, ფლორიდის შტატის ერთ-ერთ სკოლაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, როდესაც ყოფილმა მოსწავლემ 17 ადამიანი მოკლა და 15 დაჭრა, ტრამპმა განაცხადა, რომ მსგავსი ტრაგედიების თავიდან ასაცილებლად მასწავლებლები შევაიარაღოთო. საინტერესო იდეაა და განსაკუთრებულად მიზიდველი სანახავე იქნება გაკვეთილზე თოფიანი მასწავლებელი.

როგორც ირკვევა, არც ევროკავშირის ეკონომიკაა სახარბიელო მდგომარეობაში, რადგან გადაწყვიტეს სოფლის მეურნეობის დარგების სუფსიდირების საგრძნობლად შემცირება, რათა სხვა პროექტების განხორციელება შეძლონ. კერძოდ, რომელ პროექტებზეა საუბარი, უცნობია. მიმოხილველები აღნიშნავენ, რომ ევროჩინოვნიკებს საკუთარი ხელფასები ადარდებთ და არა სხვადასხვა პროექტებით.

გასული კვირის მთავარ მოვლენად რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ფედერალურ კრებაზე მოხსენებით გამოსვლა გახდა. ყოველწლიური ტრადიციული მოხსენებისას, ერთი შეხედვით განსაკუთრებული

განაცხადა, რომ „ჩვენ არავის ვემუქრებით და არც ომს ვაპირებთ ვინმესთან, მხოლოდ სამხედრო ბალანსის შენარჩუნება გვინდა მსოფლიოში“.

სამხედრო ექსპერტები დემონსტრირებულ შეიარაღებას მაღალ შეფასებას აძლევენ. ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ აშშ-ის საპაირო დაცვის სისტემა ჩამოინგრა. პენტაგონის გენერალი ჯონ ზოტენი აღნიშნავს, რომ სარაკეტო სისტემაში რუსებმა საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს და გადაგვასწრესო. რუსეთის ახალმა შეიარაღებამ აშშ-ში დიდი რეზონანსი გამოიწვია და ამის შესახებ პრესაშიც ბევრს საუბრობენ. ტელეკომპანია ჩინ-ი იმასაც კითხულობს, ახალი იარაღის შექმნისთვის ჩვენ, ამერიკელებმა ხომ არ მოვუწვევთ რუსებს პროვოცირებაო. თუმცა არიან სკეპტიკოსებიც, რომლებსაც არ სჯერათ, რომ რუსებს შეუძლიათ ასეთი მაღალტექნოლოგიური შეიარაღებული სისტემის შექმნა და წარმოება.

დონალდ ტრამპს და სხვა წამყვანი ქვეყნების ლიდერებს შეიარაღების დემონსტრირებაზე ჯერ-ჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ. თუმცა ცნობილია, რომ პუტინის გამოსვლის შემდეგ შედგა სატელეფონო საუბარი დონალდ ტრამპს, ანგელა მერკელსა და

ემანუელ მაკრონს შორის. გავრცელებული ინფორმაციით, მათი საუბრის მთავარი თემა რუსეთის ახალი შეიარაღება იყო. იმასაც ამბობენ, ნანახით გაცნობა ვერ დამალესო. პოლიტოლოგების განცხადებით, რუსეთმა შეიარაღების დემონსტრირება აშშ-ში ახალი სამხედრო დოქტრინის გამოქვეყნების შემდეგ მოახდინაო. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ რუსეთმა, ფაქტობრივად, გააფრთხილა დასავლეთი, კონკრეტულად, ნატოს ბლოკი.

ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი სანიუსი: „პუტინის გამოსვლას ამერიკის ხელისუფლების მაღალ ემფლონებში მოუსმინეს, თუმცა კონგრესში ნაკლებად, ახლა აშშ-ში ყურადღებით დააკვირდებიან, თურა ხდება რუსეთში შეიარაღების კუთხით. პუტინის გამოსვლას, მართალია, კი მოუსმინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჯერ სათანადო დასკვნა არ გაუკეთებიათ. სერიოზულად მხოლოდ მაშინ დაფიქრდებიან, თუ რუსეთი რეალურად გამოიყენებს სადმე ტავის ახალ შეიარაღებას. ქვეყნებს შორის მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ახლა თითქმის შეუძლებელია რუსეთ-აშშ-ის დიალოგი. ტრამპის გავლენა საკანონმდებლო ორგანოში ჯერ კიდევ დაბალია. ამასთან, კვლავ გრძელდება არჩევნებში რუსული კვალის ძიება და ტრამპს პირდაპირ ადანაშაულებენ რუსეთთან კავშირში. პოლიტიკურ ელიტას ჯერაც ვერ გაუგია, თუ

როგორ გაიმარჯვა ბიზნესიდან მოსულმა ადამიანმა უცხო ქვეყნის ჩაურევლად საპრეზიდენტო არჩევნებში. ამიტომაც ტრამპის ადმინისტრაციას კონგრესთან დაპირისპირების ფონზე უჭირს მოქნილი პოლიტიკის გატარება“.

ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კომლი: „დასავლეთის ქვეყნებში უკვე განიხილავენ პუტინის გამოსვლას. მათ აშინებთ რუსეთის ასეთი მაღალი განვითარება შეიარაღების საკითხში. როგორც ცნობილია, აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი კოზირი სამხედრო-საზღვაო ფლოტი იყო. ახლა ირკვევა, რომ თურმე მათი სანაპიროები, ფაქტობრივად, შიშველია



და ფლოტს არ შეუძლია მოვალეობის შესრულება. მათი ბალისტიკური რაკეტებიც, რომლებიცაც ამაყობდნენ, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი ხდება. ამერიკა და ევროპა ერთიანი მხოლოდ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციების საკითხშია. გამოდის, რომ ევროპა რუსეთისგან სრულიად დაუცველია. ყველა კარგად ხედავს, რომ ნატომ დაკარგა თავისი ფუნქცია. ევროპაში მშვიდობის შესანარჩუნებლად ნატოს დაშლაა აუცილებელი, მაგრამ წავლენ ამაზე თუ არა, ძნელი სათქმელია. აღმოფხვრიან თუ არა ამერიკელები ასეთ დრამა ხარვეზებს, ვერ გეტყვით, რადგან ბოლო ათი წელია, აშშ-ში ღირებული სამხედრო ტექნიკა აღარ შეუქმნიათ“.

გია პურდული
551 17 27 07



ქლიერი რეპრონობი



როსტაური

როსტაურის მუნიციპალიტეტი

სოფლების შუამდგომლობა-სამება-ვანის საავტომობილო გზის მონაკვეთის საპროექტო სამუშაოები დაიწყო, რომლის დამთავრებისთანავე, 2019 წლიდან დაიწყება ამ მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია და ასფალტბეტონის საფარის დაგება. პარალელურად, ამავე მიმართულებით მიმდინარეობს ავარიული ხიდების რეაბილიტაცია.

როსტაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა, მერიის თანამშრომლებთან ერთად, საჭაბიასერის ტერიტორიულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, გაესაუბრა და მათთან ერთად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა.

ჩემეთში მოსაწესრიგებელია სოფლის სასაფლაოს ღობე, რეაბილიტაციას საჭიროებს საავტომობილო გზა კალაგონის მიმართულებით.

ბურჯანის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ბურჯანში, ტურისტულად მნიშვნელოვან და რეკრეაციულ ადგილებში დახურული ტიპი ნაკვეთის 48 კონტინერი განთავსდა. 11 ცალი ლითონის კონტინერისთვის თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2017 წელს გამოიყო, 37 კი მუნიციპალიტეტის მსოფლიო ბანკმა საწუქრად გადასცა. მერია კონტინერების შექმნას მიმდინარე წელსაც გეგმავს, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში 200 000 ლარია გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის მყარი ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ქალაქს კიდევ რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტექნოლოგიის ურნა სჭირდება, რომელთა შექმნაც ეტაპობრივად იგეგმება.

დედის დღესთან დაკავშირებით, ბურჯანის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ვანო ბერიძემ და კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ ირაკლი შიოშვილმა, ქალაქ ბურჯანში და სოფელ ვეჯინში მცხოვრებ მართლმადიდებელ და მრავალშვილიან დედებს საჩუქრები გადასცეს.

წითელი ჯვრის ორგანიზაციის დახმარებით, ბურჯანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 70-ზე მეტი მართლმადიდებელი და მრავალშვილიანი დედა დაასაჩუქრეს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

დასრულდა ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგის საავტომობილო გზის მე-9 კილომეტრზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია. ხიდის პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეკუთვნის. სამუშაოები საქართველოს მთავრობის ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მასზე 1 მლნ 450 000 ლარი დაიხარჯა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიაში მდებარე ავარიული ხიდი სივნიროვისა და მკვეთრი მოსახლეობის გამო მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას საფრთხეს უქმნიდა.

გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილი ფუნდამენტის მშენებლობაზე დაიხარჯა. ჯერ დაინგრა ძველი ხიდი, შემდეგ გაკეთდა 124 ხიმინჯი, მიუერთდა 2 ბურჯი და აშენდა სარეგულაციო კედელი, ბურჯებზე დაიდო რკინაბეტონის ფილა, გაკეთდა მოაჯირები ტროტუარებისთვის და ასფალტის საფარი მონიშვნებით დაიხარჯა.

გაფართოებული ხიდის სიგრძე 26 მეტრია, ხოლო სიგანე – 40 მეტრი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ილია ხატიანი, მერი გიორგი გოგილაშვილი, ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატები და წარმომადგენლები, მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრები შეეჯამეს.

განიხილეს იმ პრობლემების მოგვარების გზები, რომლებიც თითოეულ სოფელში გამოიკვეთა. გადაწყდა, რომ ასეთი პრობლემების წარმოსაჩენად შეიქმნება საინიციატივო ჯგუფები სოფლის

წარმომადგენლების მონაწილეობით. განხილული და შერჩეული პროექტები გაეგზავნება საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემდგომი დაფინანსების მოპოვების მიზნით.



ფოთი

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასი

ფოთში საფეხბურთო სტადიონის კომპანია „ელიტა ბურჯი“ აშენებს. პროექტის ღირებულება 1863 000 ლარია. იგი რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება. მშენებლობა ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს და 20 აპრილს უნდა დასრულდეს.



ჯუბლილი

მოწყობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დააფინანსებს.

ფოთის დევილთა დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. ბაღის მშენებლობა 2017 წლის ივლისში პოლონეთის საელჩოსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო, პროექტი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და დევილთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. დასახლებაში, რომელიც 2011 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა, 1200-ზე მეტი აფაზეთიდან დევილი იჯახი ცხოვრობს.

2018 წელს იგეგმება ქალაქის №12 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები.

ჯუბლილის მუნიციპალიტეტი

ბაგრატიონისა და 25 დეკემბრის ქუჩის გადაკვეთაზე სკვერის მოწყობისა და აკაკი წერეთლის ქუჩის თავში არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები

თებერვალში ჯანდაცვის კომისიამ 527 მოქალაქეს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება 142 068 ლარით დაუფინანსა.

დარჩეული-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“ ახორციელებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგია, მოადგილე მაიხურ ნანავასთან და სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროს ნინო სხულუხიასთან ერთად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.

წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მერს ევროკავშირის მხარდაჭერით განსახორციელებელ პროექტზე მიაწოდეს ინფორმაცია. პროექტი, რომელიც სენაკსა და ზუგდიდში განხორციელდება, ახალგაზრდებს, მათი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ლაშა გოგია აღნიშნული პროექტით დაინტერესდა.

სენაკის მუნიციპალიტეტი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში სპეციოლოგიით დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლებმა გამართეს პრეზენტაცია დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ძეგლების, განსაკუთრებით კი მღვიმეებისა და გამოქვაბულების შესწავლის მნიშვნელობაზე ქვეყანაში ტურიზმის განვითარების კუთხით. პრეზენტაციაზე ისაუბრეს სენაკის მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის აუცილებლობაზე, კერძოდ, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებთან მისასვლელი გზების მარკირებაზე, ბანერების დამზადებაზე, სპეციოლოგიური სამსახურის საფუძვლების ჩაყრასა და ამ პროცესით დაინტერესებული ახალგაზრდების მომზადებაზე. ხაზი გაესვა ეკის მთაზე არსებული მღვიმეების სიღრმისეულ გამოკვლევაზე და შესწავლას, რაც იმპულსი გახდება მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

VIRIL MAX ვირილ მაქსი

ერექციის დისფუნქციისა და იმპოტენციის ყველაზე ნატურალური სამკურნალო საშუალება, რომელსაც ევროპელი ექსპერტები ყველაზე სრულყოფილი შემადგენლობის სამკურნალო საშუალებად თვლიან.

ორიგინალური შემადგენლობის ფრანგული ნატურალური პრეპარატი ვირილმაქსი მოქმედებს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური მიმართულებით, რის შესაძლებლობასაც მისი უნიკალური შემადგენლობა და კომპონენტების თანაფარდობითი დოზირება განაპირობებს.

ვირილ მაქსის უპირატესობებს სხვა ანალოგებთან მიმართებით წარმოადგენს:

1. ვირილ მაქსი სრულიად ნატურალურია და არ გააჩნია არავითარი სერეოზული გვერდითი მოვლენა.

მეტ მაშაკაცს, ხოლო ანდროლოგების დაკვირვებით უნაყოფობის წილი ვირილმაქსის დახმარებით ბოლო 1 წლის განმავლობაში შემცირდა 28,2%-ით.

ფარმაცევტული კომპანიების ანალიტიკური კვლევებით, 2017 წელს საფრანგეთში ვირილმაქსის მოხმარება იყო პირველ ადგილზე მის ანალოგებთან მიმართებით. მათ შორის, სილდენაფილის ჯგუფის პრეპარატებზე (ვიაგრა, რევაციო, ვიზარსინი და მისილდეკარდი).

შემაღვენლობა:

ვირილ მაქსის შემადგენლობაში შედის: 1. არგინინი, ამაზონის Muira Puama-ს ექსტრაქტი, მაგნიუმის ოქსიდი, საფრანის ექსტრაქტი, გუარანას ექსტრაქტი, C ვიტამინი, B5 ვიტამინი, თრიბულუს Teresstre-ს ექსტრაქტი, თუთიის სულფატი, ველური წიწაკის ექსტრაქტი, შავი წიწაკის ექსტრაქტი, ნატრიუმის სელენიტი.

ვირილ მაქსის გამოყენების ჩვენებებია:

1. ნებისმიერი გენეზის ერექციის დისფუნქცია მათ შორის ფსიქოგენური;
2. სპერმის მოცულობის სიმცირე და სპერმაში სპერმატოზოიდების რაოდენობის დაკლები;
3. სქესობრივი ლტოლვის სურვილის დაკარგვა;
4. სწრაფი ეაკულაცია;
5. ერექციის შენარჩუნების დეფიციტი;
6. ქრონიკული დაღლილობით გამოწვეული იმპოტენციები და ერექციის დარღვევები;
7. დაბეტური გენეზის იმპოტენცია და ერექციის უკმარისობა.

ვირილმაქსი მიიღება შემდეგი სქემით:

ერექციის უკმარისობისა და ხანგრძლივობის გაზრდის შემთხვევაში მიიღება 1 კაფსულა 30-45 წუთით ადრე სქესობრივ აქტამდე.

დაშვებულია ვირილ მაქსის სამკურნალო კურსის ჩატარება დაბეტური, ფსიქოგენური და ტესტოსტერონის უკმარისობით მიმდინარე იმპოტენციების დროს: 1 კაფსულა 2-ჯერ დღეში 12-საათიანი ინტერვალებით ჭამამდე 30 წუთით ადრე 10 დღის განმავლობაში. მკურნალობის კურსი მეორდება ყოველთვიურად 1 წლის განმავლობაში.

მწარმოებელი:

ფარმაცევტული კომპანია Les laboratoires 2 chenes საფრანგეთი.

შემაღვენლობა:

ვირილ მაქსის შემადგენლობაში შედის 1. არგინინი, ამაზონის Muira Puama-ს ექსტრაქტი, მაგნიუმის ოქსიდი, საფრანის ექსტრაქტი, გუარანას ექსტრაქტი, C ვიტამინი, B5 ვიტამინი, თრიბულუს Teresstre-ს ექსტრაქტი, თუთიის სულფატი, ველური წიწაკის ექსტრაქტი, შავი წიწაკის ექსტრაქტი, ნატრიუმის სელენიტი.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტანტია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთავარისა კამელიოვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69;
5 93 78 64 69




ჩემს ამჟამინდელ მეუღლესთან არ ვიმყოფები სამოქალაქო ქორწინებაში, რადგან პირველ მეუღლესთან განქორწინება არ გამიკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ მეუღლეს ჰყავს სხვა ცოლმვილი, რა თქმა უნდა, არარეგისტრირებული ქორწინებიდან, ის რაღაცა ჯიუტი ახირების გამო, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ნებაყოფლობით არ მოდის, რათა წარვადგინოთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ. მეუბნება, რომ არც სასამართლოში მოვა და ჩემს პრობლემებს მივხედო მე თვითონ. მის მიმართ ქონებრივი დაუარ გამოაჩნია. რა გზას დავადგე?

- ბუნებრივია, ყველაფერს აჯობებდა, თქვენი განქორწინების საკითხი ცივილურად მოწესრიგებულიყო, ვინაიდან, არც თქვენს ყოფილ მეუღლეს უნდა აწყობდეს თქვენთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა, რადგან მას, ასევე, ჰყავს ცოლ - შვილი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გზით თქვენი განქორწინება არ ხერხდება. სამოქალაქო რეესტრში განქორწინებისათვის საჭიროა ყოფილ მეუღლეთა ერთობლივი განცხადების წარდგენა განქორწინების შესახებ. თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს ყოფილი მეუღლის / მოპასუხის / საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უნდა გადაიხადოთ სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით. უნდა შეადგინოთ სარჩელი, სასამართლოებისა და იუსტიციის საბჭოს ვებგვერდებზე წარმოდგენილი ფორმების მიხედვით. სარჩელს უნდა დაურთოთ ქორწინების მოწმობის დედანი და ასლი. სარჩელში უნდა დაასაბუთოთ თქვენი ერთად ცხოვრების შეუძლებლობა. ამაში იგულისხმება შემდეგი: მიუთითებთ, რომ თქვენ ერთად დიდხანს არ ცხოვრობთ, რომ თქვენ გაქვთ შექმნილი სხვა ოჯახი, ყოფილ მეუღლეს - სხვა ოჯახი. ასევე, სარჩელში მიუთითებთ მოტივს, რატომ არ ხერხდება თქვენი განქორწინება სამოქალაქო რეესტრში, ანუ იმას, რომ ყოფილი მეუღლე ჯიუტად არ მოდის რეესტრში ერთობლივი განცხადების შესატანად. სარჩელში, ასევე, უნდა მითითოთ, რომ არ გაგაჩნიათ ქონებრივი დაუარ ყოფილ მეუღლესთან.

ნუ შეგაშფოთებთ ყოფილი მეუღლის განცხადება სასამართლოში გამოუცხადებლობის შესახებ. ეს არაფერს წყვეტს. როდესაც სასამართლო მიიღებს სარჩელს წარმოებაში / და ის მიიღებს წარმოებაში ამ სარჩელს, თუ თქვენ ზედმიწევნით აღნიშნავთ ყველაფერს, რომელთა შესახებ

ბაც მოგახსეთ უკვე, წარადგენთ დოკუმენტებს, რომელთა შესახებაც უკვე მიგიითითეთ და, ასევე, წარადგენთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადატურებელ ქვითარს/, სარჩელის მეორე ეგზემპლარი ეგზენება თქვენს ყოფილ მეუღლეს. აქვე გვტყვი, რომ თუ თქვენ გეყოლებათ წარმომადგენელი, სარჩელის მეორე ეგზემპლარის მოპასუხეზე ჩაბარება მან უნდა უზრუნველყოს და შემდეგ ჩაბარების დამადატურებელი ცნობა უნდა მიწოდოს სასამართლოს. თუ თქვენ არ გეყოლებათ წარმომადგენელი, სასამართლო თავად უზრუნველყოს სარჩელის მოპასუხეზე ჩაბარებას. მოპასუხეს / თქვენს ყოფილ მეუღლეს/ მიეცემა გონივრული ვადა სარჩელზე პასუხის გაცემის შესახებ, რაშიც იგულისხმება დადგენილი ფორმით შესაგებლის წარდგენა. თუ ის ამ ვადაში წარადგენს შესაგებელს, დაინიშნება სასამართლო პროცესი. თუ არ წარადგენს, პროცესი მაინც დაინიშნება. თუ გამოცხადდება სასამართლოში, მოსამართლე მასაც მისცემს საშუალებას პოზიციის დაფიქსირების შესახებ. თუ არ გამოცხადდება, თქვენ ან თქვენს წარმომადგენელს გაქვთ უფლება, დააყენოთ შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამ გზით მოხდება თქვენი განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. გასაჩივრების ვადების გასვლის შემდეგ უნდა აიღოთ გადაწყვეტილება, დამოწმებული დებთან ბეჭდით და სამი წლის ვადაში წარადგინოთ სამოქალაქო რეესტრში განქორწინების რეესტრაციისათვის და განქორწინების მოწმობის მისაღებად. დაიმახსოვრეთ: სასამართლოს გადაწყვეტილების სამოქალაქო რეესტრში დარეგისტრირების გარეშე თქვენ განქორწინებულად არ ჩაითვლებით.

ვრცელდება თუ არა იპოთეკა უძრავი ქონების ნაყოფზე?
- არა. დაგიკონკრეტებთ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 293-ე მუხლის მიხედვით, იპოთეკა არ ვრცელდება უძრავი ნივთის ნაყოფზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ანუ, თუ, მაგალითად, იპოთეკის საგანია მიწის ნაკვეთი, ამ მიწაზე მოსული შემოსავალი ეკუთვნის მის მფლობელს, თუ რა თქმა უნდა, მხარეები თავიდანვე არ შეთანხმდნენ საწინააღმდეგოზე.



2. ვირილ მაქსის შემადგენლობა განაპირობებს მაღალ სამკურნალო ეფექტს და არ ახასიათებს ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულების განვითარება.

3. ვირილ მაქსის გამოყენება არ იკრძალება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად.

4. ვირილ მაქსის გამოყენება შეზღუდული არ არის არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულ პაციენტებში, ვინაიდან მასში შემავალი L-არგინინი ხასიათდება გამოხატული ჰიპოტენზიური (წნევის დაწვევი) მოქმედებით.

5. პრეპარატი დაზღვეულია უნიკალური ფრანგული ტექნოლოგიით და მზადდება მხოლოდ საფრანგეთში.

ვირილ მაქსი აპრობირებულია აშშ-ში, ავსტრალიასა და მთელ ევროპაში. სტატისტიკური კვლევებით გამოთვლილია, რომ მისი სამკურნალო მოქმედების დამსახურებით იმპოტენციის პრობლემა 2017 წელს ევროპის ქვეყნებში მოუწესრიგდა 18 მილიონზე

ვირილმაქსის შექმნა შეგიძლიათ „ფარმადეპოსა“ და „ჯი-პი-სის“ სააფთიაქო ქსელებში.
ტელ: +995 591 06-07-99

ბიზნესი ქალების საქმეა

ბევრი დღესაც ფიქრობს, რომ ბიზნესი ქალების საქმე არ არის და მათი ადგილი სამზარეულოშია. ამ მოსაზრების გასაქარწყლებლად ბევრი ფაქტი არსებობს. გთავაზობთ რამდენიმე ქალის ისტორიას, რომლებმაც ბიზნესში დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

ესტა ლაუდერი: ჯადოსნური რეცეპტები და ბოსნი დანსტონი
ესტე ლაუდერი, ებრაელი ემიგრანტების ქალიშვილი, ნიუ-იორკის ჯურღმულებში დაიბადა და შინ დამზადებული



ნატურალური კრემების გამყიდველიდან კოსმეტიკური იმპერიის მფლობელად გადაიქცა. მის მიერ დაარსებულმა კომპანიამ Estee Lauder-მა აშშ-ის 500 უმსხვილეს კორპორაციას შორის 249-ე ადგილი დაიკავა წლიური შემოსავლით 4,74 მლრდ დოლარით.

წარმატების საიდუმლო: ბიბია ჯონის რეცეპტურით დამზადებული გამაახალგაზრდავებელი კოსმეტიკა და წარმატებული სარეკლამო სტრატეგია.

საქმიანი პრინციპი: როგორც კი მყიდველისკენ ზურგით შებრუნდები, მაშინვე დაკარგავ მას. ესტე ლაუდერმა პირველმა შესთავაზა მომხმარებლებს სასინჯო ნიმუშები და საჩუქრები შენამეხებისთვის.

იგი პირადად უწევდა კონსულტაციებს კლიენტებს და მუშაობდა თანამშრომლებთან. ფირმის ფინანსურ მხარეს ესტეს მუდღეულოდ უძღვებოდა.

ამჟამად კორპორაციის საქმიანობას ესტე ლაუდერის და ჯოზეფის უფროსი ვაჟი უძღვება და მას მსოფლიოს მილიარდერებს შორის 131-ე ადგილი უკავია.

კლიკოს ძვირის: ყველაზე ღირსეული შემკანური

მადამ ბარბ-ნიკოლ კლიკო 1777 წელს დაიბადა რეიმსში, ტექსტილის მწარმოებელი მდიდარი მეწარმის ოჯახში. მამამ ქალიშვილი თავისი კოლეგის — ფილიპ კლიკოს ვაჟს მიათხოვა, რომელსაც ტექ-

სტილის გარდა, ღვინის საწარმოც ჰქონდა.

ახალგაზრდებმა მამის ბიზნესის განვითარება განაგრძეს, მაგრამ 1804 წელს მსიე კლიკო გარდაიცვალა და ბიზნესი ქვრივს დარჩა.

დღეისათვის ბრენდს „კლიკოს ქვრივი“ მსოფლიოში გაყიდვების მხრივ მეორე ადგილი უკავია Moët & Chandon-ის შემდეგ.

წარმატების საიდუმლო: ელიტური შამპანური, რომელიც იმ დროისთვის ინოვაციური ტექნოლოგიებით მზადდებოდა. მადამ კლიკოს მმართველობის დროს შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საგრძნობლად აჩქარებდა შამპანურის წარმოებას და სასმელის გამჭვირვალობას უზრუნველყოფდა: ბოთლებს თავდაყირა დებდნენ, ნალექი ბოთლის ყელში გროვდებოდა. ბოთლს ყინავდნენ და ნალექი ყინულთან ერთად გამოიდევნებოდა.

საქმიანი პრინციპი: კონკურენტებისთვის თვალ-ყურის დევნება.

პელენა რუბინშტეინი: ქუჩის ყველაზე მატყალოც

პელენა (პაია) რუბინშტეინი კრაკოველი დახლიდარის მერვე შვილი იყო. მედიცინის ანბანის შესწავლის შემდეგ იგი ავსტრალიაში გაემგზავრა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური არ იცოდა. პელენამ დაიწყო კოსმეტიკური საშუალებების წარმოება, რომელშიც კარპატებში მოპოვებული ბალახები შედიოდა. მათი დამზადება ათი პენსი



საქმიანი პრინციპები: მათრახისა და... მათრახის მეთოდი.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქალბატონი ძალიან მუნწი იყო, არასოდეს სადილობდა რესტორნებში და შინ მომზადებულ ბუტერბროდებს მიირთმევდა.

პელენა რუბინშტეინის თქმით, ეკონომია სიმდიდრისკენ მიმავალი გზაა.

კოკო შანელი:

რისკი კეთილშობილური საქმეა

მოდას უნდა მიჰყვე, თორემ სასაცილოდ გამოჩნდები. თუმცა სიახლე პატარა ულუფებით უნდა მიიღო, — ამბობდა XX ს-ის მოდის ლეგენდა გაბრიელ (კოკო) შანელი. გოგონა თავშესაფრიდან, შხა ტანსაცმლის მაღაზიის მკერავი, კაფეს მომღერალი... იმპერიის შექმნა იოლი სულაც არ ყოფილა... სამაგიეროდ, დღეისათვის მოდის სახელი Chanel სიმდიდრისა და ელევანტურობის ნიშნად და მისი ყოველწლიური შემოსავალი 1, 089 მლრდ დოლარს შეადგენს.

წარმატების საიდუმლო: პატარა შავი კაბა და Chanel №5.

საქმიანი პრინციპები: „არ გაყვე ცოლად მამაკაცს, რომელსაც აქვს საფულე ხურდა ფულისთვის“.

კოკო არასოდეს მალავდა, რომ, მიუხედავად დიდი ტალანტისა, წარმატების მიღწევამ მას მამაკაცები დაეხმარა.

კოკო შანელი ქალის სამოსში მამაკაცის გარდერობის ელემენტები შეიტანა და მხოლოდ შავი ფერის ტანსაცმელს კერავდა.

30-იან წლებში კოკო შანელი გაიქცა და საფრანგეთში მხოლოდ 1953 წელს დაბრუნდა. იგი იძულებული იყო, ბიზნესი თავიდან დაეწყო და ქალის ტანსაცმლის გარდა დაიწყო ჩანთების, ფეხსაცმლის და აქსესუარების შექმნა.

კოკო შანელი 1971 გარდაიცვალა. 1983 წლიდან მისი მოდის სახლს კარლ ლაგერფელი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც ბრენდს ახალი სული შთაბერა და სხვა სიმბოლოებზე აიყვანა.

ინდუსტრია ბედნიერებას ანიჭებს მომხმარებლებსაც და კომპანიის თანამშრომლებსაც...

ბელა გველმსიანი
568 90 81 22

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თივდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუხისკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიზრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლი“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“ ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა უზრუნველყოფილია შპს „ელვა-ჯი“-ს მხარდაჭერით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლადის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001